ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წერილის ნომერი:**31-31232564**
თარიღი: **13/09/2023**

**ადრესატი:**

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს**

**ბატონო ბესიკ,**

გიგზავნით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ქუჩისთვის, ამბროსი აფხაზავას სახელის მინიჭების შესახებ", ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის სამოტივაციო წერილს, მოსახლეობასთან კონსულტაციის ამსახველ დოკუმენტს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს, ორთოფოტოს, ბიოგრაფიასა და მოსახლეობის მომართვას- ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

დანართი - 12 (თორმეტი) ფურცელი

**პატივისცემით,**

გიორგი ხელაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

პროექტი

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**განკარგულება №**

**2023 წლის სექტემბერი**

**ქ. ლანჩხუთი**

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ნიგვზიანში არსებული ქუჩისთვის ამბროსი აფხაზავას სახელის მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების შესაბამისად,

**მუხლი 1.** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ნიგვზიანში არსებული ქუჩას ეწოდოს ამბროსი აფხაზავას სახელი თანდართული რუკის შესაბამისად.

**მუხლი 2.** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ, ორი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

**მუხლი 3.** განკარგულება გაეგზავნოს სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

**მუხლი 4**. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

**მუხლი 5.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი საკრებულოს წევრის

ბესიკ ტაბიძის

ინიციატივა

გეოგრაფიული ობიექტის, კერძოდ სოფელ ნიგვზიანში არსებული ქუჩის სახელდების შესახებ

მოგახსენებთ, რომ ამბროსი აფხაზავა დაიბადა 1911 წელს სოფელ ნიგზვზიანში, აქ მიიღო საშუალო განათლება, ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დასრულების შემდეგ მუშაობდა მასწავლებლად 1984 წლამდე ნიგვზიანის სკოლაში.

ამბროსი აფხაზავამ დიდი წვლილი შეიტანა მაშინდელი ახალგაზრდების სწავლა-განათლების საქმეში, უფასოდ ამზადება ყველა მსურველს, რითაც ხელს უწყობდა მათ სამომავლო განვითარებისკენ და კარიერული წარმატებისკენ მიმავალ გზაზე. ასეთი უანგარო ქმედების გამო სოფლის მოსახლეობის უდიდესი პატივისცემა დაიმსახურა.

საკრებულოში შევდივარ ინიციატივით, სოფელ ნიგვზიანში არსებულ ქუჩას, ეწოდოს ამბროსი აფხაზავას სახელი მისი დიდი დამსახურებისთვის და წვლილისთვის.

პატივისცემით,

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე

# ა ვ ტ ო ბ ი ო გ რ ა ფ ი ა



ამბროსი ქრისტეფორეს-ძე აფხაზავა - მცხოვრები ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგვზიანში (ჯუმათში), დაიბადა 1911 წლის 10 აპრილს.

1928 წელს სასწავლებლად შეიყვანეს ნიგვზიანის სკოლაში, რომლის შვიდწლიანი კურსი (მაშინ ნიგვზიანის სკოლა იყო 7-წლიანი) დაამთვრა 1925 წელს, რომლის შემდეგ სწავლა განაგრძო ქ. ფოთის მელიორაციის ტექნიკუმში, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1929 წელს.

შემდგომ იაპონიის საზღვრებთან მოიხადა 3-წლიანი სამხედრო სავალდებულო სამსახური.

1949 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სრული კურსი მათემატიკის სპეციალობით და მიეკუთვნა მათემატიკოსის კვალიფიკაცია.

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე იგი შეუდგა მუშაობას ლანჩხუთის რაიონის ნიგვზიანის საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად. 1984 წლის ჩათვლით იგი იყო რაიონის წარჩინებული მასწავლებელი.

მან დიდი წვლილი შეიტანა სოფლის ახალგაზრდობის სწავლა-განათლების საქმეში, კერძოდ არ დარჩენილა სოფელში მცხოვრები ოჯახი, საიდანაც დამამთავრებელი კლასის მოსწავლე არ მოემზადებინოს მათემატიკაში ყოველგვარი ანგარების გარეშე, რითაც ის სოფლის მოსახლეობის უდიდეს პატივისცემას იმსახურებდა.

არა მარტო მოსწავლეები, არამედ რაიონის სხვა სკოლების მათემატიკის მასწავლებლებიც პერიოდულად იღებდნენ კონსულტაციებს სკოლაში მათემატიკის სწავლების ტაქტიკის შესახებ.

სკოლაში მუშაობის პერიოდში მიღებული აქვს მედლები „ზურგში მამაცობისათვის“, ასევე სიგელი „ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის“.

სიცოცხლის ბოლო წლებში (გარდაიცვალა 1987 წელს) იგი კვლავ აგრძელებდა ოჯახში მოსწავლეების და პედაგოგებისაც კონსულტაციებს მათემატიკის სწავლების საკითხებში.

# ავტობიოგრაფია

ამბროსი ქრისტეფორეს-ძე აფხაზავა - მცხოვრები ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგვზიანში (ჯუმათში), დაიბადა 1911 წლის 10 აპრილს.

1928 წელს სასწავლებლად შეიყვანეს ნიგვზიანის სკოლაში, რომლის შვიდწლიანი კურსი (მაშინ ნიგვზიანის სკოლა იყო 7-წლიანი) დაამთვრა 1925 წელს, რომლის შემდეგ სწავლა განაგრძო ქ. ფოთის მელიორაციის ტექნიკუმში, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1929 წელს.

შემდგომ იაპონიის საზღვრებთან მოიხადა 3-წლიანი სამხედრო სავალდებულო სამსახური.

1949 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სრული კურსი მათემატიკის სპეციალობით და მიეკუთვნა მათემატიკოსის კვალიფიკაცია.

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე იგი შეუდგა მუშაობას ლანჩხუთის რაიონის ნიგვზიანის საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად. 1984 წლის ჩათვლით იგი იყო რაიონის წარჩინებული მასწავლებელი.

მან დიდი წვლილი შეიტანა სოფლის ახალგაზრდობის სწავლა-განათლების საქმეში, კერძოდ არ დარჩენილა სოფელში მცხოვრები ოჯახი, საიდანაც დამამთავრებელი კლასის მოსწავლე არ მოემზადებინოს მათემატიკაში ყოველგვარი ანგარების გარეშე, რითაც ის სოფლის მოსახლეობის უდიდეს პატივისცემას იმსახურებდა.

არა მარტო მოსწავლეები, არამედ რაიონის სხვა სკოლების მათემატიკის მასწავლებლებიც პერიოდულად იღებდნენ კონსულტაციებს სკოლაში მათემატიკის სწავლების ტაქტიკის შესახებ.

სკოლაში მუშაობის პერიოდში მიღებული აქვს მედლები „ზურგში მამაცობისათვის", ასევე სიგელი „ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის".

სიცოცხლის ბოლო წლებში (გარდაიცვალა 1987 წელს) იგი კვლავ აგრძელებდა ოჯახში მოსწავლეების და პედაგოგებისაც კონსულტაციებს მათემატიკის სწავლების საკითხებში.

განმეორებითი

01237011734

# საქართველო
## გარდაცვალების მოწმობა

N 01237011734

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | სახელი<br>**ამბროსი** | | |
| 2 | გვარი<br>**აფხაზავა** | | |
| 3 | სქესი<br>**მამრობითი** | | |
| 4 | მოქალაქეობა | 5 | პირადი ნომერი |
| 6 | დაბადების თარიღი<br>**10 აპრილი 1911 წელი** | | |
| 7 | დაბადების ადგილი<br>**საქართველო, ლანჩხუთი,** | | |
| 8 | გარდაცვალების თარიღი<br>**28 ოქტომბერი 1987 წელი** | | |
| 9 | გარდაცვალების ადგილი<br>**საქართველო, ლანჩხუთი** | | |
| 10 | გარდაცვალების რეგისტრაციის თარიღი<br>**30 ოქტომბერი 1987 წელი** | 11 | აქტის ჩანაწერი<br>**N 21** |
| 12 | მოწმობის გაცემის თარიღი<br>**28 მარტი 2023 წელი** | | |
| 13 | მოწმობის გამცემი ორგანო<br>**სსგს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახური** | | |

უფლებამოსილი პირი: **ჯაბა შარვაძე**

**ხელმოწერილია ან/და შტამპდასმულია ელექტრონულად**

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ იუსტიციის სახლი
ელექტრონული დოკუმენტის მატერიალური ასლი
სახელი/გვარი
თანამდებობა
N96 "29" 03 2023 წ.
ხელმოწერა

დოკუმენტი არის ელექტრონული. სააგენტოს ვებ გვერდზე (http://sda.gov.ge) შესაძლებელია გადამოწმდეს ინფორმაცია - მოქმედია თუ არა მოწმობა. ამ დოკუმენტის ვებ გვერდიდან (http://sda.gov.ge) ჩამოტვირთვა შესაძლებელია ACT0545461518 ნომრით 1 წლის განმავლობაში.

# საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

# საქართველოს ეროვნული არქივი

KA011991018911723

საქართველოს ეროვნული არქივი საქართველო, 0160, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ.№1, +995 32 2 376526, +995 32 2 140505, services@archives.gov,ge.

**№ 02-3/11787**

**28 / მარტი / 2023 წ.**

ლალი აფხაზავას

თბილისი, წინამძღვრიშვილის ქუჩა №113

ქალბატონო ლალი,

თქვენი 2023 წლის 14 მარტის განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს - გურიის რეგიონულ არქივში დაცულია ლანჩხუთის რაიონის განათლების განყოფილების 1947-2001 წლების პირადი შემადგენლობის დოკუმენტები (თანამშრომელთა დანიშვნისა და გათავისუფლების ბრძანების წიგნები), ხოლო ლანჩხუთის რაიონის ნიგვზიანის (ჯუმათის) საშუალო სკოლის დოკუმენტები საქართველოს ეროვნულ არქივში არ ინახება.

აქვე გაცნობებთ, რომ სამუშაო სტაჟის შესახებ ინფორმაცია წარმოადგენს პირის პერსონალურ მონაცემს, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ამგვარი ცნობის მომზადების მოთხოვნის უფლებით სარგებლობენ თავად ის პირები, რომლებსაც უშუალოდ ეხება საარქივო ცნობა, ან მათი წარმომადგენლები, მათივე წერილობითი თანხმობის საფუძველზე. გარდაცვლილი პირის შესახებ პერსონალური მონაცემი კი გაიცემა მონაცემთა სუბიექტის მშობლის, შვილის, შვილიშვილის ან მეუღლის თანხმობით, ან თუ მონაცემის სუბიექტის გარდაცვალებიდან გასულია 30 წელი.

დამატებით გაცნობებთ, საქართველოს ეროვნული არქივი საცნობარო მომსახურებას ახორციელებს მოქალაქეთა მომსახურების ელექტრონული პროგრამის საშუალებით. მომსახურება ფასიანია და რეგულირდება „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ეროვნული არქივის მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობების, გადახდის წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №506 დადგენილებით.

თქვენთვის სასურველი საარქივო ცნობის მისაღებად, შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიულ ორგანოებს ან იუსტიციის სახლებს, სადაც საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ან საშეღავათო დოკუმენტის წარდგენის შემდეგ, შესაბამის ვადაში, გადმოგეცემათ თქვენ მიერ მოთხოვნილი საარქივო ცნობა.

აღნიშნული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

გენერალური დირექტორი — თეონა იაშვილი


СССР
ВЕТЕРАН ТРУДА


ЗА
ДОЛГОЛЕТНИЙ
ДОБРОСОВЕСТНЫЙ
ТРУД



# დიპლომი

Г № 030957

ამის წარმომდგენი ამხ. [illegible]
[illegible] ქრისტეფორეს ძე
1935 წ. შევიდა და 1949 წ. დაამთავრა [illegible 1948]
სტალინის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სრული კურსი
მათემატიკის
..........
.......... სპეციალობით და სახელმწიფო
საგამოცდო კომისიის 1949 წ. [illegible]
გადაწყვეტილებით მას მიეკუთვნა
მათემატიკოსის კვალიფიკაცია

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე [illegible]

ბ. ა.

დირექტორი [illegible]

მდივანი [illegible]

ქალაქი თბილისი 195[illegible]

რეგისტრაციის № 8085

Грузинский из.



# დიპლომი

Г № 030957

ამის წარმომდგენი ამხ. აბხაზავა
ავროსი ქრისტეფორეს ძე
1935 წ. შევიდა და 1949 წ. დაამთავრა [დაუსწ. 1948]
სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სრული კურსი
მათემატიკის
სპეციალობით და სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1949 წ. ოქტომბრის
გადაწყვეტილებით მას მიეკუთვნა
მათემატიკოსის კვალიფიკაცია

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე
დირექტორი
მდივანი
ბ. ა.
ქალაქი თბილისი 1950 წ.
რეგისტრაციის № 8085

Грузинский яз.

# ДИПЛОМ

Г № 030957

Предъявитель сего тов. Абхазава
Аврасий Христофорович
в 1935 г. поступил и в 1949 г. окончил [досср. 1948]
полный курс физико-математического
фак-а Тбилисского государственного
университета имени И.В. Сталина
по специальности
математики
и решением
Государственной Экзаменационной Комиссии
от ... октября 1949 г. ему присвоена
квалификация математика

Председатель Государственной Экзаменационной Комиссии
Директор
Секретарь
М. П.
Город Тбилиси 1950 г.
Регистрационный № 8085

Моск. печ. ф-ка „Гознак". 1949. Зак. 1581.

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**„იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის**

**სხდომის ოქმი N 6**

**ქ. ლანჩხუთი** **22.05.2023 წელი**

**16:00 საათი**

**სხდომას უძღვებოდა:** „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის თავმჯდომარე, **გიორგი ხელაძე.**

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები**: ია მოქია, ნინო მშვიდობაძე, დარეჯან ბურჭულაძე, მაკა მშვიდობაძე, კარლო წილოსანი.

**სხდომას არ ესწრებოდა:** კახაბერ ასკურავა - საპატიო მიზეზით.

**სხდომას ასევე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი **ირაკლი ხუხუნაიშვილი,** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში **რუსუდან გვარჯალაძე,** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში: **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ჭანტურიშვილი.**

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირების, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ცენტრალური ქუჩისთვის სერგო ჯორბენაძის სახელის მინიჭების შესახებ“.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის ადმინისტრაციული ერთეულის სსიპ აკეთის საჯარო სკოლისთვის ზაზა ჩხაიძის სახელის მინიჭების შესახებ“.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ქუჩისთვის ამბროსი აფხაზავას სახელის მინიჭების შესახებ“.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე/

5. სხვადასხვა.

**კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.**

**მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.**

**დღის წესრიგის პირველი საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირების, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა** და აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, სხვადასხვა პერიოდში, ერთი და იგივე შინაარსობრივი განცხადებით, წერილობით მომართა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებმა პირებმა, რომლებმაც - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის, კერძოდ სარგებლობის ქირის საფასურის გადაუხდელობის გამო, ითხოვეს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, უფლებამოსილია, გადაწყვიტოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული/ დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების საკითხი, აგრეთვე, მართვის უფლებით გადაცემული მუნიციპალიტეტის ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის შესრულების ვალდებულებისგან გათავისუფლების საკითხი,

გარდა ფინანსური და საინვესტიციო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული პირობებისა, ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად თბილისის მუნიციპალიტეტისათვის დადგენილი გამონაკლისის გათვალისწინებით. აღნიშნული ნორმის საფუძველზე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს რომ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები ზემოაღნიშნული პირები, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, გათავისუფლდნენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან.

**გიორგი ხელაძე** დაინტერესდა, რამდენად ობიექტურად მიაჩნია ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსს საურავის მოხსნა და ეთანხმება თუ არა აღნიშნული პროექტის დადებითად გადაწყვეტას, რაზეც **ირაკლი ხუხუნაიშვილმა** განაცხადა, რომ რა თქმა უნდა ეთანხმება, რადგანაც საურავი ბევრად უფრო აღემატება ძირ თანხას და გადასახდელი თანხა ყველა პიროვნებაზე ინდივიდუალურია.

**განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.**

**კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.**

**დღის წესრიგის მეორე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ცენტრალური ქუჩისთვის სერგო ჯორბენაძის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** და აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განცხადებით მომართა ლესის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობამ, რათა სოფლის ცენტრალურ გზას ეწოდოს სერგო ჯორბენაძის სახელი. პიროვნების, რომელიც დაიბადა და გაიზარდა სოფელ ლესაში - მანასე ჯორბენაძისა და ანასტასია კუნჭულიას ოჯახში. სკოლის ფრიადოსანმა მოსწავლემ სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1948 წელს. მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ იგი შეუდგა სამეცნიერო მუშაობას. 1955 წელს აირჩიეს იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგედ. 1963 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1956 წლიდან 1986 წლის ჩათვლით მუშაობდა თსუ - ის პრორექტორად სამეცნიერო მუშაობის დარგში. 1983 წელს სერგო ჯორბენაძემ მიიღო სახელმწიფო პრემია. ასევე 1988 – 1998 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ კორესპონდენტი. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის 1995 წლის საქართველოს კონსტიტუციის სამოქალაქო კოდექსის შექმნაში.

**გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ სერგო ჯორბენაძე გარდაიცვალა 1998 წლის 4 აპრილს. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. მას ეამაყება, რომ ასეთი ღირსეული პიროვნების სახელის მინიჭება გადაწყვიტა სოფლის მოსახლეობამ, რასაც გულწრფელად უერთდება, მხარს უჭერს და მიაჩნია, რომ ამ ნაბიჯით, კიდევ ერთ

მოკრძალებულ წვლილს შეიტანს მუნიციპალიტეტი ღირსეული მამულიშვილის სახელის უკვდავსაყოფად.

**ია მოქიამ** აღნიშნა, რომ მისასალმებელია ასეთი ღირსეული ადამიანის სახელის უკვდავყოფა, რაც კომისიის ყველა წევრმა მოიწონა და დაუჭირა მხარი.

**საკითხის ირგვლივ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.**

**მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.**

**დღის წესრიგის მესამე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის ადმინისტრაციული ერთეულის სსიპ აკეთის საჯარო სკოლისთვის ზაზა ჩხაიძის სახელის მინიჭების შესახებ" საკითხი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ,** რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის და მე-4[1] მუხლის „ბ" პუნქტის შესაბამისად, გაიცეს თანხმობა, სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული, ზაზა ჩხაიძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

**დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ ზაზა ჩხაიძე მოხალისედ წავიდა ომში, იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის და თუნდაც ერთი დღე ებრძოლა, ის არის გმირი.

**საკითხის ირგვლივ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.**

**მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.**

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ქუჩისთვის ამბროსი აფხაზავას სახელის მინიჭების შესახებ" ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და იკოს კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** და განაცხადა, რომ იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას დაეწერა ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატისა და საკრებულოს თავმჯდომარის, **ბესიკ ტაბიძის** ინიციატივა, რომელიც ითხოვს, რომ ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ ქუჩას ეწოდოს ამბროსი აფხაზავას

სახელი, ადამიანის, რომელიც დაიბადა 1911 წლის 10 აპრილს სოფელ ნიგვზიანში. 1925 წელს დაამთავრა ნიგვზიანის 7-წლედი, შემდეგ კი სწავლა განაგრძო ქ. ფოთის მელიორაციის ტექნიკუმში, რომელიც დაამთავრა 1929 წელს. 1949 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სრული კურსი მათემატიკის სპეციალობით. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი შეუდგა მუშაობას ლანჩხუთის რაიონის ნიგვზიანის საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად და 1948 წლის ჩათვლით იყო რაიონის წარჩინებული პედაგოგი. ამბროსი აფხაზავამ დიდი წვლილი შეიტანა სოფლის ახალგაზრდობის სწავლა-განათლების საქმეში, კერძოდ, არ დარჩენილა სოფელში მცხოვრები ოჯახი, საიდანაც დამამთავრებელი კლასის მოსწავლე არ მოემზადებინოს მათემატიკაში, ყოველგვარი ანგარების გარეშე, რითაც ის სოფლის მოსახლეობის უდიდეს პატივისცემას იმსახურებდა. მას მიღებული აქვს მედლები „ზურგში მამაცობისათვის“, ასევე სიგელი „ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის“. იგი გარდაიცვალა 1987 წელს.

კომისიის ყველა წევრმა მოიწონა და მხარი დაუჭირა აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტას.

საკითხის ირგვლივ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ

საკითხთა და ეთიკის“ კომისიის თავმჯდომარე /გიორგი ხელაძე/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

„იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის N 6 სხდომის

დასკვნა

ლანჩხუთი

22. 05. 2023 წელი.

2023 წლის 5 მაისს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირების, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ცენტრალური ქუჩისთვის სერგო ჯორბენაძის სახელის მინიჭების შესახებ“.

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის ადმინისტრაციული ერთეულის სსიპ აკეთის საჯარო სკოლისთვის ზაზა ჩხაიძის სახელის მინიჭების შესახებ“.

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ქუჩისთვის ამბროსი აფხაზავას სახელის მინიჭების შესახებ“.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი: 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირების, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

2. წარმოდგენილი განკარგულების პროექტის დადებითად გადაწყვეტას კომისიის ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ცენტრალური ქუჩისთვის სერგო ჯორბენაძის სახელის მინიჭების შესახებ“.

2. წარმოდგენილი საკითხის დადებითად გადაწყვეტას კომისიის ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის ადმინისტრაციული ერთეულის სსიპ აკეთის საჯარო სკოლისთვის ზაზა ჩხაიძის სახელის მინიჭების შესახებ“.

2. წარმოდგენილი საკითხის დადებითად გადაწყვეტას კომისიის ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ქუჩისთვის ამბროსი აფხაზავას სახელის მინიჭების შესახებ“.

2. წარმოდგენილი საკითხის დადებითად გადაწყვეტას კომისიის ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
„იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“
კომისიის თავმჯდომარე: გიორგი ხელაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს "იურიდიულ საკითხთა და ეთიკის" კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

22.05.2023 წელი
16:00 საათი

| | სახელი, გვარი | გამოცხადების დრო | ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| 1 | გიორგი ხელაძე | 15:50 | [signature] |
| 2 | ია მოქია | 15:57 | [signature] |
| 3 | კახაბერ ასკურავა | არ ესწრებოდა | საპატიო მიზეზით |
| 4 | მაკა მშვიდობაძე | 15:55 წთ. | [signature] |
| 5 | კარლო წილოსანი | 15:57 | [signature] |
| 6 | ნინო მშვიდობაძე | 15:56 | [signature] |
| 7 | დარეჯან ბურჭულაძე | 15:58 | [signature] |

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის“ მოსახლეობასთან შეხვედრის**

**ოქმი N 4**

**შეხვედრის ადგილი:** ლანჩხუთი. სოფელ ნიგვზიანის მოსახლეობა

**შეხვედრის ჩატარების თარიღი:** 20. 06. 2023 წელი. 13:30 საათი

**შეხვედრას ესწრებოდნენ:** საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის“ თავმჯდომარე - **გიორგი ხელაძე,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე და ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი **ბესიკ ტაბიძე,** კომისიის წევრები: **ნინო მშვიდობაძე, დარეჯან ბურჭულაძე.** მერის წარმომადგენელი ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში **ირაკლი გუჯაბიძე,** საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში: **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი: **ია ბარამიძე,** მოწვეული პირები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ“ საქართველოს მთავრობის N 239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად კონსულტაცია გამართა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობასთან, ქუჩისათვის ამბროსი აფხაზავას სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ხელაძე** მიესალმა მოსახლეობას და მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის. მან აღნიშნა, რომ იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას დაეწერა ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატისა და საკრებულოს თავმჯდომარის **ბესიკ ტაბიძის** ინიციატივა, რომელიც ითხოვს, რომ ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ ქუჩას ეწოდოს ამბროსი აფხაზავას სახელი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ და ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ მოხარული იქნება, თუ ასეთი ღირსეული პიროვნების სახელი მიენიჭება ქუჩას, რასაც ის გულწრფელად უჭერს მხარს.

**გიორგი ხელაძემ** შეხვედრის მონაწილეებს ამბროსი აფხაზავას შესახებ მოკლე ბიოგრაფიული ცნობები გააცნო და აღნიშნა, იგი რომ დაიბადა 1911 წლის 10 აპრილს სოფელ ნიგვზიანში. 1925 წელს დაამთავრა ნიგვზიანის 7-წლედი, შემდეგ კი სწავლა განაგრძო ქ. ფოთის მელიორაციის ტექნიკუმში, რომელიც დაამთავრა 1929 წელს. 1949 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სრული კურსი მათემატიკის სპეციალობით. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი შეუდგა მუშაობას ლანჩხუთის რაიონის ნიგვზიანის საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად და 1948

წლის ჩათვლით იყო რაიონის წარჩინებული პედაგოგი. ამბროსი აფხაზავამ დიდი წვლილი შეიტანა სოფლის ახალგაზრდობის სწავლა-განათლების საქმეში, კერძოდ, არ დარჩენილა სოფელში მცხოვრები ოჯახი, საიდანაც დამამთავრებელი კლასის მოსწავლე არ მოემზადებინოს მათემატიკაში, ყოველგვარი ანგარების გარეშე, რითაც ის სოფლის მოსახლეობის უდიდეს პატივისცემას იმსახურებდა. მას მიღებული აქვს მედლები „ზურგში მამაცობისათვის“, ასევე სიგელი „ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის“. იგი გარდაიცვალა 1987 წელს.

შეხვედრაზე თავისი პოზიცია დააფიქსირა მერის წარმომადგენელმა ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში **ირაკლი გუჯაბიძემ** და აღნიშნა, რომ მისასალმებელია ასეთი ადამიანების სახელის უკვდავყოფა.

შეხვედრის მონაწილეთაგან აზრი გამოთქვეს: ხათუნა აფხაზავამ, მანანა მამულაშვილმა, ამირან აფხაზავამ და ნანა კვიჭიძემ. მათ ერთხმად აღნიშნეს, რომ მოხარული იქნებიან თუ დროულად მოხდება ქუჩისთვის ამბროსი აფხაზავას სახელის მინიჭება, რადგანაც, თუ ვინმეს ეკუთვნის მადლობა, ეკუთვნის ამბროსი აფხაზავას მისი პედაგოგიური და საზოგადო მოღვაწეობიდან გამომდინარე. შეხვედრის მონაწილეებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ ამბროსი აფხაზავა იყო საქართველოში ცნობილი მათემატიკოსი და არაერთი ღირსეული პიროვნება გაზარდა, რასაც შეხვედრის ყველა მონაწილემ დაუჭირა მხარი.

**გიორგი ხელაძემ** მადლობა გადაუხადა მოსახლეობას მხარდაჭერისათვის და აღნიშნა, რომ იმედი აქვს, დროულად დასრულდება პროცედურები, რათა ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ ქუჩას მიენიჭოს ამბროსი აფხაზავას სახელი.

**პატივისცემით,**

**გიორგი ხელაძე**

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ**

**საკითხთა და ეთიკის“ კომისიის თავმჯდომარე.**

# წიგვზიანში ამბროსი აფხაზავას ქუჩა

